ეროვნული ბიბლიოთეკა

კვირა, 1918 წ. ივნისის 23 № 117
წლიწადი მეორე

კვირა, 1918 წ. ივნისის 23 № 117
ფასი 30 კაპ.

# ჩვენი ქვეყანა

რედაქცია.

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს და მის შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე.

კანტორა.

გაზეთის ფასი: ერთი წლით 50 მან. 6 თვით 27 მან. 3 თვით 13 მან. 50 კაპ. ერთი თვით (მხოლოდ ქუთაისში) 4 მან. 50 კაპ. განცხადების ფასი: სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კ., უკანასკნელზე 40 კ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. სამგლოვიარო განცხადება: თითოჯერ არა უმეტეს სამი გამომცხადებისა 1 საათამდე 10 მ., 1 საათს შემდეგ 13 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ., ფიჩხაძის ს. ფოსტის ადრესი: Кутаисъ, поч, ящикъ № 39. ტელეფონი № 76.

ღრმა მწუხარებაში მყოფნი: დედა ანუშკა, დები: ნადეჟდა, ნინა და თეკლე; ბიძები: მიხეილ და ანდრია ქადეიშვილები, პლატონ და სამსონ ჟორდანიები; სიძეები: გერმანე გოგიტიძე, შალვა ქოჩუა, ნიკოლოზ დოლიძე აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 19 ივნისს ახალ ათონთან ბოლშევიკებთან ბრძოლაში ვერაგულად მოჰკლეს

ალექსანდრე (სანდრო) იესეს ძე ქადეიშვილი,

რომლის დასაფლავების დღე დანიშნულია კვირა, 23 ივნისი, ქ. ოზურგეთი, ქალაქის სასაფლაოზე. 1 1

ექიმი ივ. ბოკერიას ხირურგიული და გინეკოლოგიური საავადმყოფო მოსალოგინებელი განყოფილებით გაიხსნა და დასაწოლი ავადმყოფების მიღებაც განახლდა.
მიხეილის ქუჩა, წითელ ხიდთან, ქალაქის გამგეობის პირდაპირ. 31—თ.

ექიმი ი. მ. პაპისოვი
(ბათომიდან)
განსაკუთრებით ღებულობს სიფილისით, ვენერიულ და კანის ავადმყოფობით. (შეშხაპუნება „606“ და „914“ ერლიხის პრეპარატების).
მიიღებს: 10—12 ს. და 6—8 ს. კვირაობით 10—12 საათ.
თფილისის ქუჩა, ეზიკოვის სახლი, კომერციულ სასწავ. პირდაპირ. (თვ.) 14

ექიმი
ზ. ა. ეზიკაშვილი
მიიღებს შინაგან და ბავშთა სნეულებიან ავადმყოფთ დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 6 დან 8-დე. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი (კომერციულ სასწავლებლის პირდაპირ). თ.

მსურს დავიქირავო
ორი, სამი ან ოთხი დიდი სინათლიანი ოთახები სამთო უბანში. სასურველია მეორე სართული.
მისამართი: „ჩვენი ქვეყნის“ რედაქცია ალ. თორაძე.

## მონური სული.

ერთმა პატივცემულმა მოხუცმა ისრაელმა მითხრა:

— ჩვენი ხალხის ისტორია გცოდნია, მოსეს სჯულში ჩახედული ყოფილხარ და აბა ამიხსენი: რად ახეტიალა მოსემ ორმოც წელს ისრაელები უდაბნოში, როცა ეგვიპტის მონობიდან განთავისუფლების შემდეგ მიიყვანა ერი თვისი აღთქმის ქვეყნის სამზღვარზე, დაანახვა ქვეყანა იგი და ისევ უდაბნოში კი დააბრუნაო?..

ვერა ვუპასუხე რა!

მოხუცმა გაიცინა და მითხრა: ეს, რომ არ ექმნა, საუკუნოებით ეგვიპტის ტყვეობაში მყოფი ხალხი ჩვენი აღთქმის ქვეყანაშიც სულით მონებად დარჩებოდენ. მოსემ კი იმდენი ახეტიალა, ვიდრე ძველები არ დაიხოცენ და ახლებმა თავისუფლების სიტკბოება არ იგემესო...

მონა იყო მაშინ საქართველო, როცა ეს განმარტება მოხუცისა მოვისმინე და ყურადღება არ მიმიქცევია მისი ღრმა აზრისათვის.

ახლა კი, როცა საქართველო განთავისუფლდა, როცა მოწინავე ქართველობა საერთო აღტაცებისა, საერთო თავ-განწირვისა და ერთი-მეორის დახმარების მაგიერ, ერთმანეთს ზურგზე ტყავს ვაძრობთ ჟურნალ გაზეთებში, ავყოლივართ პროვოკაციებს, თავს ვიკლავთ პარტიულ ჟინიანობის ასასრულებლად და ლამის არის ჩვენივე ხელით კვლავ სამარე გაუთხაროთ დიდიხნის ნანატრ თავისუფლებას ჩვენის სამშობლოისას, ძალიან კარგად მესმის ტანჯული ერის მესაიდუმლეს საქციელი!..

ჩვენც რო პატრონი ვინმე გვყავდეს, გაგვიყვანდეს სადმე უდაბნოდ და გვახეტიალებდეს, ვიდრე გულიდან არ გადაგვეწმინდება ჟანგი ბორკილებისა და მთელის არსებიდან არ ამოგვიქრება მონური სული, სული დაკნინებული და დაწვრილმანებული მთელი საუკუნის განმავლობაში, სხვის ხელში შემყურებლობით, იქნება მალე გვშველებოდა, რამე!

თორემ ახლა მონაა სულით ქართველი მწერალი, როცა გუნდრუკს უკმევს ნაბატონარს!

მონაა სულით ქართველ დედა, როცა ანგელოზ ბავშვს ისევ უცხო ენაზე ეტიკტიკება!

მონაა სულით ქართველი ცირა — როცა ისევ შოშიასავით ჭყლიპინებს და ჰაეროპლანივით იკაზმება!

მონაა სულით ქართველი ვაჭარი — როცა ათასებს კრუხივით ზედ აზის.

მონაა სულით ქართველი ხელოსანი — როცა დროით სარგებლობს და ერთი ათად ტყავს აძრობს დამკვეთლებს!

მონაა, სულით ქართველი მუშა როცა ხელფასის მეტი არა სწამს - რა!

მონაა სულით ქართველიი მღვდელი, როცა ისევ ძველ ტაბლებზე ჰფიქრობს!..

მონაა სულით ქართველი მოხელე, როცა ავტომობილით დაგრიალებს!

მონაა სულით ქართველი სოციალისტი — როცა თავისი ქვეყანის გულის ტკივილი, არ ესმის.

მონაა სულით ქართველი არასოციალისტი — როცა სხვის იმედით სცხოვრობს!

მონაა სულით ქართველი ხალხი, მთელი ხალხი საქართველოისა, როცა ერთს მშვენიერ დღეს ერთის დაკვრით, ერთის ნებისყოფით არ გამოაქვს მთელი თავისი ქონება და არ გაამლობს ხარბებს, არ დააპურებს გაუმაძღრათ!

მონაა სულით ქართველი ერი, როცა არა სთხზავს ჰიმნს თავისუფლებისას და არა გალობს სიმღერას გმირობისას, რომ ყურშინამ მისმან ჩააქროს ჩხავილი სვავებისა და მოსპოს ბიწიერება ძეთა თვისთა განდგომილთა!

როდის, ნეტა როდის განთავისუფლდები საქართველო თავ დავიწყებისაგან?..

ია ეკალაძე.

## ცრმსა.

თავიანთ იდეიურ გაკოტრებას და პრაქტიკული უნიადაგობას სოციალისტები დღეს თითქმის ჩვენზე უკეთ გრძნობენ, მაგრამ აქედან სხვადასხვა ნაირი დასკვნა გამოგვყავს: ისინი ფიქრობენ მართალია ვმარცხდებით, მაგრამ დეე ბოლომდის დავმარცხდეთ, სულ დავმარცხდეთო. ჩვენ ვეუბნებით: ხომ თითონაც ხედავთ თქვენი დამარცხების აუცილებლობას. ჯერ კიდევ ადრეა, შეგიძლიათ თავს უშველოთ, მოძებნეთ სხვა გზა, რომელიც მოგცემთ გამარჯვების რაც შეიძლება მეტს გარანტიასო. აი ორი სხვა და სხვა ლოღიკა, ორი სხვა და სხვა მსოფლმხედველობა. გუშინდელ „სოციალ-დემოკრატში“ ვინმე „კაჟი“ აი რას სწერს:

ჩვენში აგრალურ საკითხის განხორციელებას პრაქტიკულათ უკვე შეუდგენ. საქართველოში სტიქიურ მოძრაობას ფართო ასპარეზი არ მიცემია. მიწის საკითხი ორგანიზაციულათ წყდება. მაგრამო, დასძენს ავტორი

რასაკვირველია, როგორც ყოველთვის ხდება, ასეთი დიდი სოციალური რეფორმის დროს, ეხლაც ამ მხრით ჩვენი ქვეყანა ტკივილებს განიცდის. არამც თუ უბრალო, მოქალაქე, არამედ სოციალისტი და პარტიული მოღვაწეც კი, საყვედურს გამოსთქვამს იმ დეფექტებისა და ტკივილების გამო, რომელიც თან მოსდევს მიწის რეფორმის განხორციელებას. ეს ცოტა არის, რეაქციონერებთან ერთათ რომლებიც ცდილობენ მიწის საკითხის დასამარებას, ისინიც მის წინაამდეგ საზოგადოებაში აგიტაციას ეწევიან, მას „აბუჩათ“ იგდებენ და გაიძახიან რა დროს ასეთები არისო!

დღეს რეაქციის სუნი შემოიჭრა, საზოგადოებრივი ატმოსფერა მითი იჟღენთება; რეაქციონერები ეროვნულ საბჭოში და სხვაგან, მიწის საკითხის შესახებ პროვოკაციას ეწევიან და განგაშს სტეხენ. სუსტნი პიროვნებანიც ამას ვერ უძლებენ და რეაქციონურ მიმდინარეობას შეუგნებლათ მისჩანჩალებენ.

რევოლუციონურმა ორგანიზაციებმა ამ მოვლენას სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ. არ კმარა მარტო ის, რომ ჩვენი ამხანაგები სამიწათ-მომქმედო კომიტეტებში მუშაობენ და მემამულეთა მიწებს იბარებენ. არა, საჭიროა იდეური მუშაობის გაძლიერება. ხალხში დატრიალება და მიწის კანონების განმარტება და გაშუქება. ზოგჯერ ხალხი თავის სასარგებლო საქმეს უკულმა გებულობს. რეაქციონერები ამით სარგებლობენ. ჩვენ მათ რევოლიუციონური მუშაობა უნდა დაუპირდაპიროთ.

ნათქვამია, თუ დააკვირდებით ქურდი დღეში ცხრაჯერ გამოტყდებაო. სოციალისტებიც ყოველ-დღე „ტყდებიან.“ და გრძნობენ ამას, მაგრამ ლოღიკა ასეთი აქვთ: დაე ბოლომდის გავტყდეთ,“ სულ გადავტყდეთო. ტყული იმედი აქვს ბ. „კაჟს“, — თუ ის მართლა კაჟი და აბედი არ არის, რომ თავისი „სოციალისტური და პარტიული მოღვაწეთა“ „საყვედური“ მიწის „რეფორმის“ შესახებ „იდეიური მუშაობითა“ და “ხალხში დატრიალებით“ გააქარწყლოს. მაგრამ საინტერესოა გავიგოთ როგორ ესმით „კაჟებსა“ და სოციალისტებს „ხალხში დატრიალება.? იმავე სოციალდემოკრატში ემისარი რ. ყიფიანი აი რას სწერს.

დავით ბაგრატიონი ამ უკანასკნელ ხანებშიაც კი ყიდის გლეხებზე მიწას. ერთი გლეხისაგან აიღო 19 ათასი მანეთი. ბაგრატიონმა იცის, რომ მას მიწის გაყიდვის ნება არა აქვს, და რომ მისგან მიყიდულ მიწებს გლეხებს არავინ დაანებებს და მაინც ართმევს მათ ფულებს. ასეთნაირათ ფულების აღება ჩვენ შეუფერებლათ მიგვაჩნია და აზრათ გვაქვს ბაგრატიონს პასუხი მოვთხოვოთ თვით გლეხებს ვაფრთხილებთ და უნდა იცოდენ რომ ბაგრატიონისაგან ახლად მიყიდულ მიწებს მათ უეჭველათ ჩამოართმევენ.

ჩვენ თავიდანვე დარწმუნებული ვიყავით რომ სოციალ დემოკრატების აყრა საქართველოდან შეეძლო მხოლოდ ცხოვრების მძაფრ სინამდვილეს და არა ვისიმე „პროპაგანდას“. სოციალისტური მოძღვრების საბოლოვო გაკოტრება შეიძლება მხოლოდ სოციალისტური ექსპერიმენტებით. ჩვენი რწმენა მართალი გამოდგა, „მიწის დეკრეტი“ მიუღებელი შეიქნა სწორედ იმათთის, ვისთვისაც ის შეითხზა. გლეხები მიწას მაინც ყიდულობენ, და ყიდულობენ იმიტომ, რომ კერძო საკუთრების პრინციპი ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. საადგილო-მამულო კომიტეტების საიჯარო მიწები გლეხებს არ უნდათ, არ უნდათ რადგან ხვალ ყველა მოიჯარადრეები იქნე-

ბიან და ზეგ პროლეტარები, მესაკუთრენი კი არასოდეს. ესაა სოციალური რევოლუცია, მიწათ-მფლობელობის პირველ ყოფილი ხანის შექმნა. კაცობრიობა კი წინ მიისწრაფის, უკან მიისწრაფიან მხოლოდ სოციალისტები. და რ. ყიფიანებისთანა ემისარები ქართველ გლეხების ამ პროგრესიულ სოციალურ ინსტინქტს ვერ წაართმევს გლეხებს უნდათ მიწა და საკუთრება. ბატონ-ყმობის დროს თავადაზნაურები ართმევდენ გლეხებს საკუთრების უფლებას, დღეს სოციალისტები და მათი პოლიციელები რ. ყიფიანები ართმევენ, სოლცარი იგივეობაა ძველისა და ახალის შორის, ფეოდალებსა და სოციალისტებს შორის.

## ქუთაისის ვაჭართ-მრეწველებს

თუ რომელიმე დღე, თვე, წელი ჩვენს ცხოვრებაში ჩვენთვის ბედნიერად ჩაითვლება, სწორედ უნდა ჩაითვალოს მეოცე საუკუნის ათას ცხრაას თვრამეტი წელი, როდესაც ეყრება საძირკველი მთელი საქართველოს ქართველ — ვაჭართ-მრეწველთა შეკავშირებას. ვაჭართ მრეწველთა კლასის შეკავშირება საქართველოში დღიურ საკითხად გარდაიქცა და მთელი თავისის აუცილებლობით სდგას ქართველ ვაჭართ მრეწველთა წინაშე, მთელი სიდიადე ამ საკითხისა ეროვნულ თვალსაზრისით უდავო და აუცილებელია, ქართველი ერის ყოფნა არ ყოფნის საკითხი მისი მომავალი სიძლიერე თუ უძლურება მჭიდროთ დაკავშირებულია ამ საკითხთან, ერის ეკონომიურად ამაღლებას სწორედ ამ შეკავშირებულმა წრემ უნდა შეუწყოს ხელი, პატარა ერის ხსნა და ბედნიერება ამაში გამოიხატება, და თუ დააკვირდი გამოცდილებამ დაგვანახა, რომ დიდი სახელმწიფოები თუ უწევენ ანგარიშს პატარა ერებს სწორედ მაშინ, როდესაც ის ეკონომიურად და კულტურულად მომწიფებული არის. მართალია ჩვენ დღეს მძიმე პირობებში გვიხდება ამ დიადი საქმის განხორციელება, მაგრამ ეს ასთე ყოფილა ევროპაშიც, პროლეტარიატის და სოციალისტების გეგემონიის შემდეგ ყოველივე მხრით გაკონტრებულს სახელმწიფოში უფრო ფეხი მოუკიდია და გაღრმავებულა ბურჟუაზიული კაპიტალისტური წესწყობილება. რის მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საფრანგეთი, ინგლისი, გერმანია, და თუ ეს ასეა სწორედ ასეთი მემკვიდრეობა გვრჩება ჩვენ და მე დარწმუნებული ვარ ჩვენი ვაჭარ-მრეწველები სასოწარკვეთილებას არ მიეცემა და ჩვენ ყველა ერთი ძალ ღონით ბოლოს აუღებთ ჩვენ მდგომარეობას და მით ხელს შეუწყობთ საჭირო ეროვნულ საქმის თავიდანვე მკვიდრ ნიადაგზე დაყენებას.

განა დღეს მთელ საქართველოს ვაჭართ მრეწველთა შეკავშირებას მარტო ეკონომიური მნიშვნელობა აქვს? შეკავშირება ვაჭარ მრეწველთა კლასისა დღევანდელი მომენტისდა მიხედვით პოლიტიკურათაც დიდად საჭიროა და აუცილებელიც, რომელსაც გვერდს ვერ აუხვევს ჩვენი წრე, თუ სურს სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაში მიიღოს მონაწილეობა.

ამიტომ საქართველოს საკანონმდებლო დაწესებულებაში ჩვენ უნდა გვყავდეს პოლიტიკურ მიმდინარეობის ასეთი წარმომადგენელი, რომელიც ვაჭრობა-მრეწველობის ინტერესებს დაიცავს.

მაშინ მხოლოდ და მაშინ აჰსრულდა ეს ნათქვამი: „ბრძოლაში ჰპოებ უფლებასო“

ვაძლევ ჩემ თავს ნებას და ვამბობ, თუ რა ევალება ამ დროს ქუთათურ ვაჭარ-მრეწველებს?

ჩემის აზრით მან დიდი როლი უნდა ითამაშოს, ის ჩვენზე, თბილისელებზე, უფრო თამამი არის, მას მონობის უღელი ნაკლები უტარებია, ვიდრე თბილისელ ვაჭარს. თბილისელი ვაჭარი უფრო სხვისი კაპიტალის მონობის ქვეშ იყო ვიდრე-ქუთაისელი ვაჭარი. და თუ ეს ასეა, თქვენ ქუთაისის ვაჭარ მრეწველობა, ავანგარდად, უნდა გამოხვიდეთ ჩვენ შესაკავშირებლად, რომ მოვიპოვოთ ის უფლებები, რაც ჩვენთვის საჭირო არის და აუცილებელი. მაშინ ჩვენ მტრებს და მოყვარეებს გავიგებთ.

თბილისის ვაჭარ-მრეწველთა გამგეობის წევრი

დ. კალანდაძე.

## წარსული და იდეალი.

ადამიანის ცხოვრებისა და შემოქმედების შორის დამოკიდებულება არსად ისე ნათლად არ ირკვევა, როგორც ისტორიაში. წარსულის მაგალითების გათვალისწინება ადამიანში ჰბადებს შემოქმედების სურვილს აწმყოში და იმავე დროს აღტინებულ სულის მღელვარებაში ჰქმნის ძალას, რომელიც იმედების სხივებით აფერადებს მომავალს და რომელშიაც იმალება რელიგიურ-ესთეტიურ აღფრთოვანების მიზეზი. აწმყო აერთებს წარსულს და მომავალს ადამიანის გრძნობების და იდეალების რგოლებით; ამ რგოლებში ღვივის ცეცხლი შემოქმედების ცეცხლში შორეულ წარსულში, პირველ ყოფილ ძალთა განაწილებაში დანთებული და ორგანიული განვითარების პროცესში გაძლიერებული: არც ერთი აზრი ადამიანის უცბად არ გაჩენილა, არც ერთი იდეალი კაცობრიობის ციდგან არ ჩამოვარდნილა. წუთისოფელში ყველაფერი საუკუნეთა შრომის, ძიების და წვალების ნაყოფია, ცხოვრების ყოველივე სახე წარსულის განცდის გამომხატველია, არის კავშირი უხილავი, მარადიული საიდუმლოებით გარემოცული წარსულისა და ცხოვრების ყოველივე მოვლენის და წუთის შორის: ხშირად ადამიანის უბრალო და უმიზნო ხელის მოქნევაში ისახება წინაპართა განცდა, მრავალ ათას წლიანი ორგანიული ცახცახი. წარსულის სული ამოძრავებს აწმყოს, წარსულის შფოთვით ნაშობი ორთქლი ათბობს მომავალს. უშინაარსო, უიდეალო და ჩმახი იქნებოდა კაცობრიობის ცხოვრება, რომ კაცობრიობას არ ქონდეს წარსული რომელიც სასოწარკვეთილების და უიმედობის დროს ყოველთვის იძლევა იდეალების და მისწრაფებათა განახლების მაგალითებს: საშუალო საუკუნოების სული ერი სიცალიერე, რომელმაც საშინელ ფანატიზმით შემოიჭრა ისტორიაში, მთლად გარყვნიდა კულტურას, მთლად გაამხეცებდა კაცობრიობას, რომ ძველი საბერძნეთის იდეალების და აზრების განახლება არ მომხდარიყო მეთექვსმეტე საუკუნეში. გაიხსენეთ მაღალ წოდებათა ინტრიგები, მონასტრების როსკიპობა, კათოლიკების ინკვიზიცია და თქვენ დარწმუნდებით, რომ კაცობრიობის ცხოვრება საშუალო საუკუნოებში იყო მეტის მეტად კოშმარული. მაგრამ ჰელლინიზმის განახლების სხივთა ციალმა გაამშვენიერა გაამდიდრა, გაასისკროვანა ევროპის სული: მან დაუმტკიცა კაცობრიობას, რომ შეუძლებელია ცხოვრება მარტო არისტოტელის კათეგორიებით და კათოლიციზმის დოგმებით; მან შემოქმედების ღმერთის ძალა დააყენა უფრო მაღლა, ვიდრე საუკუნეთა უძრაობაში გაცრეცებული კათეგორიები და პრინციპები; ადამიანის ძარღვების წვას მიეცა შემოქმედებითი ხასიათი და რელიგიურ ფანატიზმის საქანელა შეიცვალა დინამიური ინდივიდუალიზმის ოწინარად: ამბობენ, თურმე, როდესაც მიქელ-ანჯელოს სახელგანთქმული ქანდაკება — „მოსე“ შექონდათ მუზეუმში, მიქელ-ანჯელო შორიდგან უყურებდა ქანდაკებას, და როდესაც ქანდაკება ვერ შეეტია მუზეუმის კარებში მიქელ-ანჯელო წამოვიდა გულმოსული, მიუახლოვდა ქანდაკებას, რაც ღონე ჰქონდა, მოიქნია ხელი და დაარტყა „მოსეს“ თავზე ჩაქუჩი: რად ვერ ინძრევი, განა არ იცი, რომ შენშია ჩემი სულიო, — უთხრა მოქანდაკემ ქანდაკებას. შემოქმედების ცეცხლმა მოინდომა ნივთიერების გასულდგმულება და იდეალის განივთიერება: წარსულის განცდა (მიქელ-ანჯელო) ეტრფოდა „წარსულის — (სიმბოლო — მოსე წინასაწრმეტყველი) სახეს და ტრფობა ჰქმნი და რელიგიურ აღტაცებას და ილლიუზიებს. შორეულ აღმოსავლეთის სულისკვეთება განსახიერდა დასავლეთის სულის განცდაში: ასე უერთდება წარსული აწმყოს და მომავალს; ასე გადადის ორგანიულ მღელვარების პროცესი შემოქმედებითი აღტაცებაში: ყოველივე წუთი ამ ქვეყნად განსაზღვრულია საუკუნეთა მიმდინარეობაში, ყოველივე მოქმედებაში ცხოვრების და აქტივობაში, წუთისოფლის ყოველივე კუნჭულში თავმოყრილია სურვილი, რომელიც შეიქმნა სტიქიურად, ირაციონალურად მრავალ ათასი წლეების განმავლობაში. ჩვენი წინაპართა სულები ტრიალებენ ჩვენში და ჩვენს გარშემო: იგინი მონაწილეობას ღებულობენ ყოველდღიურ ცხოვრებაში. წარსულს ყოველთვის აქვს მოპოებული უკვდავება აწმყოში და მთელი ჩვენი სულიერი არსება ცხოვრების წარსულის შინაარსის განმეორებაა; მხოლოდ ამ განმეორებას აქვს თავისი ინდივიდუალური სახე, რომელსაც მემკვიდრეობა გადაყავს მარადისობაში: დააკვირდით ცხოვრებას, შეისწავლეთ თანამედროვე

## მაშ, მოვუსმინეთ!

### პასუხად დიდპატივცემულ სოციალ დემოკრატებს.

გუშინ წინ, პარასკევს, ივნისის ოცდა ერთსა დღესა, ჩვენ დავსტამბეთ გაზეთ „ჩვენს ქვეყანა“-ში წერილი: „ერთი საქართველო!“ სადაც, სხვათა შორის ვამბობდით: დემოკრატია და სოციალ-დემოკრატია სულ სხვადასხვა ცნებაა და მეორეს უნდა პირველის დამორჩილება მეთქი — და ჩვენის აზრის დასასაბუთებლად დავიმოწმეთ ბატონი ნოე ჟორდანია და იქვე აღვნიშნეთ კიდეც ის წიგნაკი ბ—ნი ნოე ჟორდანიასი, სადაც უფრო ზედ მიწევნით არიან განმარტებულნი ზემორე ნათქვამი ჭეშმარიტებანი.

დიდად-პატივცემულ და საქართველოზე ზრუნვისა გამო უაღრესად დატვირთულ ქუთათურ სოციალ-დემოკრატებს არ დაუჯერებიათ ჩვენი ნათქვამი და სიტყვის გატრიზავებისა და ბანზე აგდების შემდეგ, — რაც დამამტკიცებელია ჩვენი სოციალ-დემოკრატების უზენაესი ზრდილობისა და სახელმწიფოებრივ გონიერებისა, — გვიკიჟინებენ.

ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ნ. ჟორდანიას ნაწერებში არაფერი ამის მგზავსი არ მოიპოვება და თუ ეს ასე არ არის, მაშინ „ჩვ. ქვეყნის“ პუბლიცისტმა კითილო ინებოს და დაასახელოს წიგნი და გვერდი, სადაც ასეთი რამ სწერიაო“ გაზ. „სოც.-დემ.“.

სიამოვნებით ვასრულებთ პასუხის გაცემას, როგორც მოქალაქე ჩვენი სოციალ-დემოკრატების მიერ გაბედნიერებული საქართველოსა და როგორც ერთგული ქვეშევრდომი ახალი, ზეგარდამოვლინებული მთავრობისა...

ჩვენ წინა დევს პატარა ტანისა, მაგრამ ღვთაებრივი წონის წიგნაკი. აქვს მწვანე ყდა, შეიცავს **64** გვერდს, ავტორის სურათს და ყდის პირველ გვერდზე აწერია:

რუსეთის სოციალ-დემოკრატ. მუშათა პარტია.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

**ნოე ჟორდანია.**

1

სოციალ დერიოკრატია.

2.

დემოკრატია და ს. დემოკრატია.

3.

სოციალ-რევოლუციონერები.

გამოცემა ქუთაისის სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტისა.

ყდის მეორე გვერდზე, უკანიდან-კი აწერია: ფასი ექვსი შაური. ქუთაისი. სტამბა ი. კილაძისა. **1917** წ.

როგორც თქვენი ბედნიერი თვალი ხედავს, მარტო ყდაზე წარწერაც კი მოწიწებითა და მორიდებით უნდა ავსებდეს ყოველივე მართლ მორწმუნე მარქსისტს და მით უმეტესს ყოველივე საცოდავსა და საბრალო მოქალაქეს, თუნდაც ეს უკანასკნელი რეაქციონერიც იყოს:

აქ არის ნახსენები: **რუსეთის**... მუშათა პარტია, პროლეტარები ყველა ქვეყნისა, ქუთაისის კომიტეტი, ფასი ექვსი შაური, ქუთაისი, სტამბა და ივანე კილაძე **1917** წელს.

— ფეხზე ადექით, თქვე თხებო, და მოწიწებით ქუდი მოიხადეთ!..

იმედი მაქვს მოწოდებას: „თქვე თხებო“ საწყენად არავინ მიიღებს, ნამეტნავად ის ჩამორჩენილი და უანბანო, მარტო თვალების მოხამხამე და პირის მაცურებელი ჯგუფი, რომელთაც ეს მოწოდება ეკუთვნის და რომელთაც თავის რეაქციონერობის გამო ეს წმინდა წიგნაკი ზეპირად არ იციან.

ან კი საწყენი აქ რა არის! ძველად, იმ დროს, როცა ჯერ არ იყო განხორციელებული სიტყვა ღვთისა, საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, მაგალითად სამეგრელოსა და ოსეთში თხა მიაჩნდათ წმინდა პირუტყვად... ხატებად ღვთისა. ამას მოწმობს პატივცემული ისტორიკოსი მოსე ჯანაშვილი, რომელიც აგერ სამოცი წელიწადია სტირის და მოსთქვამს საქართველოზე და მისი არსებობა კი ჩვენმა ხალხმა, დემოსმა, დემოკრატიამ მხოლოდ თურმე სოციალ-დემოკრატებისგან გაიგო და მათი ლოცვა-კურთხევით დამოუკიდებლადაც გამოაცხადა..

— დიდება მამულიშვილობასა მათსა! ე. ი. სოციალ დემოკრატებისას, თორემ მოსე ჯანაშვილები რა სახსენებელნი არიან! მათ ისიც ეყოფათ, რომ სამოცი წლობით ჰყლაპეს მტვერი ძველი ეტრატებისა, გუჯრებისა, ნანგრევებისა და სხვა ასეთი ისტორიული ატრიბუტებისა, რათა სახელი საქართველოისა არ წაშლილიყო პირისაგან ქვეყნისა და შემდეგ კი ჩვენს სოციალ-დემოკრატიას უკანასკნელად ეთქვა ეს სახელი — **საქართველო** და თავის კუთვნილებათა და საბრძანებლად გამოეცხადებინა!

ამ მცირე გასეირნების შემდეგ ისტორიის წიაღში, გადავშალოთ ახლა უუწმინდესი წიგნაკი იგი, ბ—ნ ნოე ჟორდანიისა, რომელი წიგნაკიც ალბად სიწმინდისა გამო აღარ გაუშლიათ მის გამომცემლებს, მოვნახოთ გვერდი მეჩვიდმეტე, დავტოვოთ პირველი ექვსი ბწკარი ზევიდან და დავიწყოთ კითხვა.

რა არის დემოკრატია?

დემოკრატია არის უმრავლესობის პოლიტიკური ბატონობა, და რადგანაც ამ უმრავლესობას შეიცავს პროლეტარი, გლეხი, წვრილი ვაჭარ მრეწველი, ხელოსანი, ინტელიგენტი და სხვა წვრილი შეძლების პატრონნი, ამიტომ დემოკრატები ცდილობენ ყველა ეს კლასები შეაერთონ, ერთ რაზმათ აქციონ, ერთ პარტიათ შეადგინონ და საერთო მიზნისკენ მიმართონ; ისინი ებრძვიან უმცირესობას, შეძლებულთა ბატონობას და მით უახლოვდებიან პროლეტარიატს. აი, ეს მათთვის საკმაო საბუთია, რომ პროლეტარიატის ნამდვილ დამცველათ თავის თავი დასახონ და თავისი პარტია სოციალისტურ პარტიათ გამოაცხადონ. მაგრამ როგორც კი პროლეტარიატი წვრილ ბურჟუაზიულ რაზმს შორდება და თავის საკუთარ პარტიას აარსებს, მაშინვე აშკარავდება დემოკრატიის წვრილი ბურჟუაზიული სახე და ყველასათვის დასანახავი ხდება. ამიტომ, არც **ერთი პარტია არ არის მუშათა პარტიის ისეთი მტერი, როგორც დემოკრატია**. ის დაუცხრომელათ ებრძვის სოციალ-დემოკრატიას ეს პარტია მიაჩნია მას თავის უმთავრეს მტრეთათ (უნდა იყოს: მტერად) და უგებს სხვადასხვა მახეს მის დასაჭერათ და თავის წვრილ ბურჟუაზიულ „ჯოგში“ გასათქვეფათ. ამ მიზნის მისახწევათ ის ქადაგებს ერთობას, სხვა პარტიებთან შეკავშირებას („ბლოკი“), უსაშველოთ აზვიადებს დემოკრატიულ წყობილებას, სოციალ-დემოკრატიას უწუნებს სოციალიზმს და თავისი თავი ნამდვილ სოციალისტათ გამოაქვს. ერთი სიტყვით, ყოველნაირ ღონეს ხმარობს სოციალ-დემოკრატიის დასანგრევად. სოციალ დე-

კულტურის სტილი, შემადგენლობა, შინაარსი; შეიხედეთ ტაძრებში, მონასტრებში, სხვადასხვა დაწესებულებებში;—მიუხედავათ ორი ათასი წლის ქრისტიანობისა, წარმართული გრძნობა კიდევ მძლავრია ჩვენში; დასავლეთ ევროპის სხვადასხვა ქალაქების ძველ ტაძრებში, თითქმის ყოველგან დაინახავთ ჩვენი წმინდანების გვერდით წარმართული გრძნობის გამომხატველი ღმერთების სურათებს. ამ მხრივ პარიზის ღვთის მშობლის ტაძარი წარმოადგენს საუცხოვო მაგალითს: სახელგანთქმულ ტაძრის („ნოტრ დამ დე პარის") სახურავზე გაკეთებულია დიდი ქანდაკება ხიმერების—Chimeres. ხიმერები და დემონები—ღვთის მშობლის ტაძრის სახურავზე:—კი სიმბოლო გამომხატველი უხილავი და გამოუცნობელი კავშირისა, რომელიც არსებობს მოვლენათა შორის და რომლის საიდუმლოებით მოცული ძალა განაგებს ადამიანის ცხოვრებასა და სიცოცხლეს, შეადგენს ადამიანის ბედის-წერას, აღელვებს სხეულთა და მოვლენათა ზღვას და აერთებს ცხოვრების გამოუთქმელ ტკივილებს და წუთისოფლის ნეტარებას; აი ძალა სტიქიური, ირაციონალური, ძალა რომელიც იშვა ცხოვრების ვნებათა ღელვაში, რომელიც სცდილობს შეზღუდოს ყოველივე მოვლენის და არსის თავისუფლება და რომელსაც ძველი ბერძნები ეძახოდენ მოირას. წუთი-სოფლის მოვლენათა და ძალთა მთვრალ ქანაობაში იბადება იდეა აუცილებლობის: აქ იწყება კავშირი ქრისტესა და ლიუციფერის შორის, აქ ისახება იდეა ცხოვრების ორმაგობისა—განხეთქილებისა და შეთანხმებისა, ბრძოლისა და შერიგების. სწორედ აქ არის იდეალისა და რელიგიურ ძიების დასაწყისი; სწორედ ეს აღელვებდა წარსულში გმირებს და ღმერთებს, და ამით იტანჯებოდენ პრომეთეი, ქრისტე, ბუდდა, შოპენჰაუერი, ნიცშე, გიოთე, ბაირონი, დოსტოევსკი, ლერმონტოვი, ნ. ბარათაშვილი, ვაჟა-ფშაველა და სხ...

ადამიანის გონება ეძებს მიზანს სიცოცხლისას და ეს ძიება იწვევს ისტორიაში წარსულის განახლებას და მომავლის იმედებს: ამ ძიებაში მზადდება შემოქმედებითი ენერგია როგორც ცალკე ადამიანისა, ისე ერისა და კაცობრიობის. ბოლოს და ბოლოს ადამიანის ბედნიერება მდგომარეობს არა იდეალის განხორციელებაში „არამედ ამ ძიებაში", ძიების სილამაზეში. მაგრამ, რაკი ძიება შეიძლება მხოლოდ წარსულში, ყოველივე წარსულის უარყოფა იმავე დროს იდეალის უარყოფაცაა. ამიტომ ის ერი, რომელიც უარჰყოფს თავის წარსულს, ვერასოდეს ვერ შექმნის თავის მომავალს.

მხოლოდ წარსულის შეგრძნობაში და შემეცნებაში შეიძლება შექმნას ადამიანმა უკეთესი მომავალი; მხოლოდ ასეთი შემოქმედებას აქვს ორგანიული და პოტენციური ხასიათი; და აი სწორედ, ამიტომ, ჩვენთვის საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელი უფრო ძვირფასია, ვიდრე მთელი ევროპის ქარხნები და მატერიალიზმის კათეგორიები: ჩვენი მიზანია წარსულის არა ინტეგრალური განმეორება, არამედ წარსულის სახეების კულტურული განმტკიცება და გამშვენიერება, ჩვენი მიზანია ისტორიულ თავისებურობის გაღრმავება და ეროვნულ ინდივიდუალობის გამაგრება, გაძლიერება.

კ. კაპანელი—ჭანტურაია.

## საქართველოს მთავრობის მოქმედება.

მთავრობის სხდომაზე 19 ივნისს მთავრობის თავმჯდომარემ მოხსენება გააკეთა ყოფილ სამხედრო საზღვაო მინისტრის ვ. პ. გობეჩიას ტრაგიკულ სიკვდილის შესახებ. მიცვალებულის ხსოვნას მთავრობამ ფეხზე ადგომით სცა პატივი. მთავრობამ დაადგინა გარდაცვალებულის კუბოსთან საპატიო ყარაული დააყენოს.

— მთავრობამ მსჯელობა იქონია ბოლო დროს გახშირებულ მკვლელობათა და სხვა ბოროტმოქმედებათ გახშირების შესახებ; მხედველობაში მიიღო ყოფილ სამხედრო-საზღვაო მინისტრის ვ. პ გობეჩიას მოკვლა, ხაზინის გაცარცვა, მღვდელ პოპოვის მოკვლა და დაადგინა ამგვარი საქმეები, საალყო წესების გამოცხადების შემდეგ მომხდარი, სამხედრო სარევოლუციო ტრიბუნალს გადაეცეს გასარჩევად, რათა მან საალყო წესების კანონებით იხელმძღვანელოს მათი გარჩევის დროს.

— საგანგებო გამომძიებელი კომისია ტერიტორიის შემცირების და მდგომარეობის შეცვლის გამო გაუქმდა. ეს დადგენილება თვითონ კომისიამ გამოიტანა და აღმასრულებელმა კომიტეტმა დაამტკიცა, ხოლო წინადადება მისცა კომისიის მოკლე ხანში შეადგინოს მცირე საგანგებო საგამომძიებლო კომისია.

— საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ კავკავიდან მთავრობის რწმუნებულის წერეთლისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: კავკავისაკენ არავის უშვებენ. 6,000 ფუთი ხიმინდის ფქვილი ფურგუნებზე დადებული მოლოკანებმა არ გაატარეს. იძულებული გახდნენ გამოეტვირთნათ, ნაწილი დაიკარგა, ნაწილი იაფად გაიყიდა და ფურგუნის პატრონებს ქირა მივეცით რამდენიმე ათასი მანეთი. ჩვენი ორგანიზაციის მიერ დამზადებული სიმინდი სხვა ორგანიზაციებს მიაქვთ, რის გამოც ჩვენ რამდენიმე ასი-ათას მანეთს ვკარგავთ. ჩვენი რკინის გზის მოსამსახურეებმა ყუბანის ოლქიდან შემოიტანეს ხორბალი მაგრამ ისიც წაგვართვეს. ჩვენმა ორგანიზაციამ მიმართა ადგილობრივ მთავრობას, მაგრამ ამაოდ; ამ დღეებში უნდა ჩამოვიდეს საგანგებო კომისარი ორჯონიკიძე. უეჭველად გამოგზავნეთ ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე ზოგიერთ საკითხების გამოსარკვევად. მიიღეთ ზომები მანდვე შეისყიდოთ პური. ჩვენი ორგანიზაციის იმედს თუ იქონიებთ. კავკავში ჩვენ არაფერი გვაქვს, გზაში კი გვართმევენ.

— ჰაიდარბეგ აბაშიძის მოხსენების გამო აჭარლების მდგომარეობის შესახებ, მთავრობის თავმჯდომარეს დაევალა მიღებულ იქნეს ჩქარი დიპლომატიური ზომები.

— მოწონებულ იქნა მიწადმოქმედების მოხსენება მინერალურ წყლების სახელმწიფოს საკუთრების გამოცხადების შესახებ.

— მიწადმოქმედების მინისტრს დაევალა მოხსენება წარმოადგინოს აგრარულ რეფორმის განხორციელების მიმდინარეობის შესახებ.

— აღერბეიჯანის რესპუბლიკის მთავრობამ საქართველოს მთავრობას აცნობა, რომ კორპუსის ქონებათა საწყობებმა და მაჰმადიანთა შტაბის სხვა ნაწილები განჯაში გადადის.

## პარტიული კრება.

ოთხშაბათს, 26 ივნისს (ახ. სტ.), საღამოს 6-ს საათზე წმინდა ნინოს სასწავლებლის დარბაზში დანიშნულია საქართველოს ეროვნულ დემოკრატიული პარტიის წევრთა საერთო კრება. მოხსენებას კითხულობს [illegible]

## ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

**უმაღლესი სასწავლებელი.** მთავრობამ დაადგინა თბილისში გაიხსნას უმაღლესი სასწავლებელი, რომელშიდაც ლექციების კითხვა იქნება ქართულ რუსულ და სხვა ენებზე. ამ სასწავლებლის მიზანია შეაერთოს ამიერ კავკასიის ყველა სასწავლებლები.

✦ **ვლ. გობეჩიას მკვლელობის გარშემო.** ყოფილი მინისტრის ვლ. გობეჩიას მკვლელის წულუკიძის საქმე, თანახმად თბილისში არსებულ საალყო წესებისა გამოიძიეს 24 საათში და სამხედრო სარევოლუციო ტრიბუნალს გადასცეს. როგორც ამბობენ წულუკიძეს სიკვდილით დასჯა მოელის.

✦ **სოხუმის ამბები.** სოხუმიდან ჩამოსულებმა გადმოგვცეს, რომ სოხუმზე ბოლშევიკებმა გამოილაშქრეს. პირველად მათ მცირე რიცხოვანი რაზმი შეხვდა და შეაჩერა. ამ ჟამად სოხუმისაკენ გაგზავნილია დიდძალი ჯარი, რომლის მიზანია ბოლშევიკები საქართველოს საზღვრებიდან სამუდამოდ გარეკონ. საზღვარი დადებული ყოფილა გაგრის იქით.

✦ **გემი რუსებისათვის.** გუშინ ფოთში მოვიდა გემი, რომელსაც მიზნად აქვს საქართველოში დარჩენილი რუსები წაიყვანოს. ამის შესახებ გუშინ ქუთაისში დეპეშა მიიღეს, ის რუსები, რომელთაც აქ დარჩენა არ სურთ, წასასვლელად უკვე ემზადებიან.

✦ **მოკლულები და დაჭრილები ჯარში.** აბასთუმანში ოსმალთა ბრბოებთან შეტაკების დროს ჩვენი ჯარიდან მოჰკლეს 9 ჯარისკაცი და დაგვიჭირეს 3.

---

მოკრატიის მეტოქე და დაუძინებელი მტერი დემოკრატიული პარტიებია და მათი დანგრევა მისი განვითარების აუცილებელი პირობაა. ამ პარტიების სახელებია: „სოციალისტი"—რევოლუციონერი. დემოკრატ პროგრესისტები, ავტონომისტ-ფედერალისტები (ნაციონალისტები) და ძმანი მათი". (გვ. 17-18).

მოგეხსენებათ რომ სჯულის წიგნის წაკითხვა და განმარტება ძველად მხოლოდ ამ სჯულის მომგონისა, ამ წიგნის შემთხზველის უფლება იყო. უბრალო მოკვდავი ვერ მიეკარებოდა სამღვთო წიგნებს, რომ არ გაეგო ეშმაკობანი ქურუმთა. ახლა კი დეკრეტის ძალით თვით ხალხოსნური სჯულიც კი გააუქმეს ჩვენში და კვიკვირს, რად არ წაუკითხავთ ეს ადგილი თავის სჯულის წიგნისა ჩვენს შემკითხველებს?..

ალბათ წიგნებისთვის აღარ სცალიათ, ვინაიდან დღეს სამკალი ბევრი აქვთ და მომკლებად გამოსულნი ჭეშმარიტების ნაცვლად ყვირილითა და მუშტებითაც ადვილად დაილაღავენ წინ „ბურჟუაზიულ ჯოგს"! (სახარება ნოესი, გვერდი 17 სტრიქონი 4, ქვეიდან).

„მეც იმათ ჯოგიდანა ვარ, ვინც სილარიბით ცნობილა, ამ წუთი სოფლის თორნეში ბევრი სხვაც გამოცხობილა*)—და ისევ მევე გავკადნიერდები და მოვახსენებ პროლ-ბის ჭეშმარიტ ქომაგებს, რომ მთელი ამოდენა აწონაწონი უპროლეტარო ქართველ სოციალ დემოკრატების ბელადის წიგნაკიდან უტყუარი დამამოწმებელია იმისი, რასაც ჩვენ ვამტკიცებთ „ჩვენს ქვეყანაში", ესე იგი, სოციალ დემოკრატებს უეჭველად უნდა სძულდეთ და სძულთ კიდეც თავისი და სხვა ქვეყნების დემოკრატია. მათი სათაყვანებელია მხოლოდ **პროლეტარი**, ბოგანო, ესე იგი არ არის მქონე, სამშობლოსა და მშობლიურ კერას მოკლებულ-მოწყვეტილი და ასეთ უსამართლობით გაბოროტებული მუშა კაცი, რომელიც მზადაა მიანგრ-მოანგრიოს მთელი ქვეყანა და ამ ნანგრევებზე ააშენოს მხოლოდ თავისი კლასიური ბედნიერება.

„პროლეტარი ეწოდება იმ ადამიანს, რომელიც ყოველივე საკუთრებას მოკლებულია და თავის სარჩენად იძულებულია თავისი ფიზიკური ძალ-ღონე ფულის პატრონს მიჰყიდოს, მიექირაოს და აქედან აღებული ქირით უნდა იცხოვროს". (დასახელებული წიგნაკი ნოე ჟორდანიასი გვერდი 6, სტრიქონები მესამე ზევიდან და შემდეგნი).

აი მრევლი და შემავალი ხელმძღვანელი სოციალ დემოკრატიისა, ეს „პროლეტარების პოლიტიკური პარტიაა, რომლის მიზანია დემოკრატიულ წყობილების საშუალებით **პროლეტარული** სოციალიზმის განხორციელება" (იქვე, გვერდი 13, მერვე სტრიქონი, ზევიდან). მართალია აქ ჩართული „დემოკრატიული წყობილების საშუალებით" პროლეტარი—ეს წვეთი ზღვა ხალხისა თითქოს ეუბნევა მთელ დემოკრატიას,—„ამ ბურჟუაზიულ ჯოგს" შენ მოაწყე საქმე, მე კი ზურგზე შევაჯდები და სამოთხეში შევალო, მაგრამ ეს რა ანგარიშში ჩასაგდებია, როცა იგივე პროლეტარიატი **არც კი კადრულობს** დემოკრატიასთან თანასწორად და ამხანაგურად სიარულს, და თუმცა „სხვა ყველა დემოკრატიულ კლასებზე ნაკლებია რიცხვით" (იგვე გვ. 33, სტრიქონი 16, ქვეიდან) და „შეიძლება (პროლეტართა) პარტიამ სახე დაკარგოს" რადგანაც „წვრილი ბურჟუაზია (იგივე დემოკრატია ავტ.) ყოველ მხრიდან აწვება პარტიას და მას **გადემოკრატებას** უქადის" (დახეთ, არც კი სურს გადემოკრატობა! ავტ.) ამიტომ „ყველას კრიჭაში უნდა ჩაუდგეს და თავის მხედველობის ქვეშ დააყენოს" (ასე იქცეოდა პოლიციური მთავრობაც: ყველას თავის მხედველობის ქვეშ აყენებდა! ავტ.) **ხოლო გლეხობა** კი „უნდა გაყვეს პროლეტარიატს, **დაემორჩილოს** მის **ორგანიზაციას**, ის არც მის წინ უნდა მიდიოდეს, არც მის გვერდით, ის მას **უკან უნდა მისდევდეს** (ხაზი ჩემია ავტ.) და ზურგს უნდა უმაგრებდეს". (იქვე გვ. 32-33).

როცა ამასა სწერდა პატივცემული ნოე ჟორდანია ალბად რუსეთზე ფიქრობდა, მაგრამ მაინც რად უნდა მისდევდეს უკან ასი მილიონი გლეხობა თუნდ ერთი მილიონ რუსის პროლეტარიატს—ეს ჩვენთვის გაუგებარია. ასმა მილიონმა ერთი სული რო დოუბეროს ერთ მილიონს, სულ გააქრობს დედამიწის ზურგიდან და ბუმბულივით აიტაცებს ზეცაში, ან რა სამართალია, თუ უფალი გიყვართ, ასი მილიონი კაცი იყოს მსახური და მაჩანჩალა ერთი მილიონისა? თუ უმრავლესობაა ქვეყნის ბატონ-პატრონი, ის უფრო ჰკუაზე ახლო არ არის რო ერთი მოურიგდეს ასს? მაგრამ როგორც ხედავთ, პროლეტარი არა ყოფილა მოკლებული სურვილს... გაკნიაზებისას!..

ყველა ზემოდ ნათქვამი შეეხებოდა რუსეთს და დაე თუნდა იკნიაზოს პროლეტარმა იქ, მაგრამ რა ხელი აქვს, რა სამართლიანობაა, რა საბუთი აქვს ს. დემოკრატიულ პარტიას საქართველოში ბატონობისა?

მას შემდეგ რაკი წყალობითა ღვთისათა საქართველო რუსეთს ჩამოშორდა და აქაურმა სოციალ დემოკრატიამ მოიბანა შუბლიდან ძაღლა **რუსეთისა**,—საქართველოში პროლეტარიატის ნარცხიც აღარ არის. მისი პარტია კი გამთავრებულა ჩვენში და „ბურჟუაზიის მილიონიან ჯოგს" მუშტებსაც კი უღერებს. ჭეშმარიტად „მხდალი, და უსუსურ-უძლური ყოფილა"*) საქართველოს დემოკრატია. ეს დემოკრატია (და არა პროლეტარიატი. მათ საერთო არა აქვთ რა გარდა იმისა, რო პროლეტარი წინ უნდა მიბრძანდებოდეს, დემოკრატი უკან მისდევდეს) უტვინოც ყოფილა, რადგანაც დღევანდლამდე ეშმაკობას ვერ მიუხვდა ს. დემოკრატიას და თავის ბელადად გაიხადა. აი რას ბრძანებს პატივცემული ნოე ჩვენში მათის პარტიის გაძლიერების გამო.

„ჩვეულებრივათ ჰგონიათ, რომ რაკი ჩვენსკენ ამდენი სხვა და სხვა ხალხი მოდის—ალბად ძლიერი ვართო. ეს შეხედულება მართალიც არის და შემცდარიც იმისდა მიხედვით, თუ როგორი თვალით შევხედავთ სოციალ-დემოკრატიას. თუ მას შევხედავთ დემოკრატიის თვალით, დავინახავთ რომ ის ძლიერია, წინააღმდეგ შემთხვევაში დემოკრატიული კლასები ჩვენკენ არ მოვიდოდენ; თუ მას შევხედავთ სოციალ-დემოკრატიული თვალით—ის სუსტია, უამისოთ წვრილი ბურჟუაზია არ გაგვეკარებოდა. ესენი პარტიაში შემოდიან როგორც დემოკრატები, მათთვის ჩვენ უბრალო დემოკრატები ვართ და სურთ ჩვენი პარტია იარაღათ მოიხმარონ თავისი მიზნის მისაღწევათ. ისინი კი არ არიან ჩვენი იარაღი, ისინი კი არ ითვისებენ ჩვენს პროგრამას, პირიქით ჩვენ ვართ მათი იარაღი და

*) იხ. თხზ. ვაჟასი.

*) ირ. წერეთლის სიტყვიდან.

✦ **მფრინავი ისაევი.** მფრინავმი ისაევი, რომელიც გუშინწინ დილის 8 საათზე გაფრინდა, ვარჯიშობის შემდეგ საღამოს 8 საათზე ისევ ქუთაისში ჩამოფრინდა.

✦ **ახალი მაზრის დაარსება.** სამტრედიის ქალაქის თვითმართველობამ ქუთაისის გუბერნიის კომისრის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ სამტრედიის რაიონი გამოყოფილ იქმნას ცალკე მაზრათ.

✦ **შუამდგომლობა.** ლანჩუთის ქალაქის თვითმართველობა სთხოვს გუბერნიის კომისარს ნება დართოს სამტრედიიდან წაიღონ ტელეფონის 15 აპარატი ლანჩხუთის საჭიროებისათვის.

✦ **მკვლელობა.** სოფ. ფარცხანალში (ხარაგოულის რაიონში) აგრაფინა ბუაჩიძისამ ვინტოვკის ტყვიით მოჰკლა თავის ქმარი პანტელა ბუაჩიძე.

✦ **სოფ. თხელთა წყაროში.** (შორ. მაზრა) ეგნატე სახელიშვილს თავს დაესხა 5 ბოროტ გამზრახველი, სახელაშვილი მძიმედ დასჭრეს და მიიმალენ. დაჭრილი მეორე დღესვე გადაიცვალა.

✦ **და-ძმა.** დღეს ქალაქის თეატრში ქართველ მსახიობათ ამხანაგობის მიერ წარმოდგენილი იქნება ვ. გუნიას ისტორიული დრამა „და-ძმა".

✦ **დარაჯები.** სამტრედიაში წითელი ჯვრის ქონებას გერმანელებმა თავისი დარაჯები დაუყენა. ასეთი განკარგულება გამოსცა გერმანელთა სამხედრო კომისიამ. დარაჯების დაყენება გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ამ დღეებში, თბილისში დაიწვა ინტენდანტის საწყობი.

✦ **ეშელონების გამგზავრება.** ფოთიდან თბილისისაკენ გაემგზავრა გერმანელთა რამდენიმე ეშელონი.

✦ **ათონის აღება.** ჩვენმა ჯარმა ათონიდან ბოლშევიკები განდევნა და ახალი ათონი აიღო.

✦ **ქალაქის საბჭო.** ქალაქის საბჭოს კრება, რომელიც დანიშნული იყო 21 ივნისს არ შესდგა.

✦ **ინვალიდთა კრება.** დღეს ქუთაისში მოხდება ინვალიდთა საერთო კრება.

✦ **წისქვილის გაქურდვა.** 21 ივნისს ბოროტგამზრახველებმა წყალწითელას ხიდთან გაქურდეს წისქვილი, წაიღეს სიმინდის ფქვილი.

✦ **ოქმები.** ქალაქის სანიტარულმა რაზმმა უსუფთაობის გამო ქუთაისში ოქმები შეუდგინა სხვადასხა პირებს.

## სამოსწავლო კომისარიატი და რელიგია.

შემდეგი. იხ. „ჩვ. ქვ." № 116.

ამერიკელნი დიდი მოტრფიალენი არიან თავისუფლების მათ თითქმის არ იციან ადამიანის უფლების შეზღუდვა. მაგრამ სარწმუნოებას მათ შორის ყველგან თავისი საპატიო ადგილი უჭირავს. აქაც სახელმწიფო უშლის ეკლესიას მხოლოდ ნივთიერ ქონების შეძენას, მის გამრავლებას; რაც შეეხება რელიგიურ მოძღვრებას, ამას ხელის შემშლელნი არავინ ჰყავს, თუ იგი რასაკვირველია, ზნეობას არ ჰქადაგებს.

ამერიკის ყველა სახელმწიფოები აღიარებენ სარწმუნოების საქმეში სხვათაშორის ერთ უმთავრეს პრინციპს, რომ სარწმუნოების მიხედვით არავინ იყოს დევნილი და შევიწროებული თავის კერძო და პოლიტიკურ უფლებაში. გამონაკლისს შეადგენენ კანონმდებლობა ნიუ-გემპშირისა, სადაც უმაღლეს თანამდებობაზე ინიშნება მხოლოდ პროტესტანტები, მერილენდა, პელსილვანია, ჩრდილო კაროლინა, მისისიპი, ტენესი, სადაც სახელმწიფო სამსახურში შესვლის ნება ეძლევათ მხოლოდ ღვთისა და საიქიო ცხოვრების მორწმუნე პირთა. კოლუმბიაში კონსტიტუციის 38 მუხ. ძალით სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებენ კათოლიკობას. სამხრეთ ამერიკაში კათოლიკური ეკლესია ითვლება სახელმწიფო ეკლესიად. არგენტინაში ამას აკანონებს კონტიტუციის 2 მუხ. ნიკარაგუაში-6მ. ურაგვაის-5მ. პარაგვაის 3მ- ეკვადორაში ჩილისაში, ბოლივიაში, ვენეცუელაში, კოსტარიკოშიც ყველგა სახელმწიფო სარწმუნოებად კონსტიტუცია აღიარებს კათოლიკობას. კოსტა-რიკის კონსტიტუციის 51 მ. კი განსაკუთრებით ამბობს, რომ სახელმწიფო ხაზინიდან დოტაციის მიღების უფლება მხოლოდ კათოლიკურ ეკლესიას ეძლევა. ისპანიაში (ევროპაში) კონსტიტუციის 11 მ. სახელმწიფო სარწმუნოებად აღიარებულია კათოლიკობა; ასეა პორტუგალიაშიაც. იტალიაში პაპის ყველა ის პრეროგატივები აქვს, რაც მონარქს; მისი წლიური ჯარაგირი უდრის 3,222,000 ლირს, რომელიც ეძლევა მას სახელმწიფო ხაზინიდან. ბელგიაში და გოლანდიაში სამღვდელოებას ჯამაგირს სახელმწიფო აძლევს. ასეა დაყენებული საქმე ყველგან გერმანიაში, ვენგრიაში; შვეიცარიის ყველა კანტონებში მიღებული და აღიარებულია სახელმწიფო ეკლესიად ან კათოლიკური, ან პროტესტანტური და ასე წარმოიდგინეთ, რომ აქაც, დემოკრატიულ შვეიცარიაშიაც, ეკლესიის წარმომადგენელნი ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან იღებენ. ინგლისში სახელმწიფო ეკლესიად მიღებულია ანგლიკანური ეკლესია; ინგლისის პარლამენტში დათმობილი აქვს ადგილი ორ არქიეპისკოპოზს. სკანდინავიის სახელმწიფოებში სახელმწიფო ეკლესიად მიღებულია ლიუტერანული ეკლესია. საბერძნეთში, რუმინიაში და სერბიაში კი მართმადიდებელი ეკლესია. მხოლოდ საფრანგეთშია გამოყოფილი ეკლესია სახელმწიფოსაგან; ეს გამოყოფა აქ მოხდა 9 დეკემბერს 1905 წ. და აქ დანაშაულობა მიუძღვის არა ეკლესიას და სახელმწიფოს შუა ამ ნიადაგზე განხეთქილებას, არამედ მხოლოდ იეზუიტების მოქმედებას. მაგრამ მიუხედავად ამისა საფრანგეთში სახელმწიფო სრულიად არც დევნის და არც სპობს სარწმუნოებას.

აი მოკლე ეკლესიის და სარწმუნოების მდგომარეობა მთელი ქვეყნის სახელმწიფოებში. როგორც ხედავთ, აქ ყველგან სარწმუნოებას თავისი საპატიო ადგილი უჭირავს, არც ერთი სახელმწიფო მას არ ერეკება საზღვრებიდან, პირ-იქით უკიდურესი დემოკრატიული წესწყობილებაც, როგორიც არის შვეიცარიის კანტონებში აღიარებენ ამა თუ იმ ეკლესიას, არ აკლებენ მათ თავიანთ მფარველობას და მათ წარმომადგენელთ ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან აძლევენ.

მაშ საიდან გამოსთხზა ჩვენმა სამოსწავლო კომისარიატმა ასეთი უცნაური კანონი, კანონი აღმაშფოთებელი ყველა მორწმუნე და შეგნებული ადამიანისათვის, რომლის მიხედვით სარწმუნოება უნდა განიდევნოს ყველა დარგის სკოლიდან. რისთვის უნდა შეადგენდეს გამონაკლისს აქ მარტო საქართველო?

თუ რას გვიქადის ეს კანონ პროექტი, თუ ის ცხოვრებაში გატარდა, ადვილი მისახვედრია; დღეს თუ ხვალ ჩვენში სავალდებულო იქნება საყოველთაო, უფასო პირველ-დაწყებითი სწავლა. სოფლად თუ ქალაქად ჩვენი ახალთაობა მოკლებული იქნება რელიგიის გავლენას, მის ცოდნას, და ამნაირად დაკარგავს იგი უდიდეს და უძვირფასეს ნუგეშს, რომელსაც ადამიანი პოულობს სარწმუნოებაში.

შეიძლება ასეთ მიმართულებისათვის კანონ-პროექტის ავტორი ნიადაგს ჰპოულობს ჩვენი ხალხის, ქართველი ერის ბუნებაში. შეიძლება ქართველს ბუნებით არ სწამდეს ღმერთი, და ეს ზედ-მეტი ბარგი იყოს მისთვის, ან შეიძლება აქაც ისე ახვევდენ მას ურწმუნოებას, როგორც ეხლანდელი მარქსისტები სოციალ დემოკრატობას. ამ შვიდი წლის წინეთ ერთი დღევანდელი ბელადთაგანი სწერდა: „არც ერთ ხალხს ისე ნაკლებად არ აინტერესებს ნაციონალური საკითხი, როგორც ქართველ ხალხსო." მაგრამ დღეს დავინახეთ, რომ ქართველ ხალხს ძლიერ აინტერესებს ნაციონალური საკითხი; ამას ფრიად მჭევრმეტყველურად ამტკიცებს ის ოვაციები, ის განუსაზღვრელი სიხარული და ზეიმი, რომლითაც ჩვენი ხალხი შეხვდა საქართველოს აღდგენას და მის კერძო სახელმწიფოდ გამოცხადებას. შეიძლება აქაც, რელიგიის საკითხშიაც „ასე ნაკლებად" აინტერესებდეს ხალხს სარწმუნოების საქმე და მისთვის გამოსცეს ასეთი უცნაური კანონი მის წინაამდეგ.

(დასასრული იქნება)

**ქრისტიანი.**

## კორესპონდენცია.

**ქ. ზესტაფონიდან.** ოთხშაბათს, 19 თიბათვეს მოხდა ქალაქის საბჭოს სხდომა, რომელზედაც მოწვეულნი იყვნენ ხუროთ—მოძღვრები, ექიმები, ტეხნიკოსები მასწავლებლები და გარეშე პირნიც. კრება გახსნა—გრ. საყვარელიძემ, რამდენიმე ხნის შემდეგ მის ადგილს იჭერს მისი ამხანაგი ვ. საყვარელიძე.

გამგეობის წევრი მ. გვალია [illegible] ვრცელ მოხსენებას საფუძთო გადასახადის შემოღების შესახებ. მომხსენებლის აზრით ახლად ფეხ აღგმული ქალაქ ზესტაფონის კულტურულ—ეკონომიურად აყვავებისათვის აუცილებელია დაწესდეს საფუძთო გადასახადი. აქედან გასაზიდ საგნებზე როგორცაა: ღვინო, შავი ქვა, აბრეშუმი, ხე ტყე და სხვა. რადგან ეს მოხსენება რთულია საბჭომ გადაწყვიტა ეს მოხსენება განიხილოს საფინანსო კომისიამ და შემდეგ საბჭომ დაადასტუროს.

მეორე საკითხი, რომელის განხილვას და აწონ-დაწონას დიდხანს მოუნდა საბჭო, იყო ქალაქთა კავშირის ტეხნიკური განყოფილების მოწერილება. რადგანაც ხსენებული კავშირის ლიკვიდაცია ხდება, ამისათვის ის დიდი ქონება, რომელიც მას რჩება, საჭიროა განაწილდეს საქართველოს ქალაქთა შორის, ამ ქონებას შეადგენს განათების, ქუჩის, ხიდების, წისქვილის, სასაკლაოს, საავადმყოფოს, სასწავლებლების, წყლის, დენის, ტრამვაის, და სხვა. საბჭომ მიუცილებელ საჭიროებად დაინახა ახლავე თანდათანობით შეიძინოს ყველა ის საგნები რისთვისაც აირჩია მცოდნე პირები თბილისს გასაგზავნათ. კომისიაში შედიან: გ. საყვარელიძე, მ. გვალია, ექიმი წერეთელი, ტეხნიკი ლამბაშიძე და ტ. ნიორაძე.

ლტოლვილების შესახებ რკინის გზის წარმომადგენელი თხოულობს ქალაქის საბჭომ იკისროს ზესტაფონში მყოფ ლტოლვილთათვის ზრუნვა, რადგან ის ვაგონები რომელშიდაც ისინი არიან მოთავსებულნი უნდა დაიცალოს და გაიგზავნოს დანიშნულებისამებრ. ლტოლვილთა საკითხმა დიდი კამათი გამოიწვია. ქალაქის ექიმი წერეთელი აღწერს ლტოლვილთა უმწეო მდგომარეობას და მათი მდგომარეობით გამოწვეულ ანტისანიტარულ მდგომარეობას. წერეთლის სიტყვით მათის უზრუნველყოფისათვის ქალაქმა იზრუნა რაც შეეძლო, მაგრამ ყოველივე ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა, ამისთვის უსაყვედურებს იგი, რკინის გზას, რომლის მოვალეობას შეადგენდა ლტოლვილთა მოვლა-პატრონობა. ხმოსნებმა ამ საკითხზე ლაპარაკს ხუთი საათი მოანდომეს. ყველა ამტკიცებდა, რომ დიდს შიშს წარმოადგენს ლტოლვილთა აქ ყოფნა, რადგან მოსალოდნელია ათასგვარი ავადმყოფობის გავრცელება. გამოითქვა აზრი რომ გაიგზავნოს თბილისს კაცი შუამდგომლობის აღსაძრავად ვისთანაც ჯერ არს რომ ლტოლვილნი ფოთში იქმნენ გადაყვანილნი და ან მათთვის მოაწყოს თავშესაფარი.

გამგეობის ერთ-ერთს წევრს წინადადება შემოაქვს: მოწვეულ იქმნეს მოლარე, კომისიის ერთი თანაშემწე მდივანი და გადამწერალი გადიდდეს მილიციონერების რიცხვი ოცდაათამდე და მიემატოს ყველა მოსამსახურეთ ჯამაგირი. საბჭო საჭიროდ სცნობს: მოლარის და მდივნის თანამდებობა ერთს პირს დაევალოს რომელსაც 200 მ. მიეცემა.

სასურსათო კომისიას შემოაქვს წინადადება. რადგან აქაურ მეწისქვილეს ამ შიმშილობის დროს ძლიერ დიდი მინდი მიაქვთ, ამისათვის სიმინდის დაფქვას ნიხრი დაედოსო. მეწისქვილეთ დაფქვაში მიეცემათ 1 მან. და 70 კაპიკი.

შემოვიდა თხოვნები ბაზრის მოიჯარადრეებისაგან, რომელთაც აღებული აქვთ სანოვაგის სადუქნე ადგილები და თხოულობდენ საიჯარო ფასების დაკლებას. გამგეობა მათ მხარს უჭერდა და თანახმა იყო დაეკლო მათთვის 25 პროც. საბჭომ დაადგინა: გაკეთდეს დუქნები და თუ ქალაქის თვით მართველობა ნახავს ზარალს მოიჯარადრეებისას, შემთხვევაში გადასახადიც დაუკლოს.

დასასრულ დამფასებელ კომისიას მოთხოვნით ამ კომისიის წევრთა რიცხვი გადიდდა.

ქ. გძელი.

ვიბრძვით მათ სასარგებლო ბურჟუაზიული თავისუფლების დასამყარებლათ. ჩვენ რომ ჩვენი საკუთარი პოლიტიკა გვეწარმოვებიათ, ჩვენი სოციალისტური სახე ამკარათ გამოგვეჩინა და მათ ეს დაენახათ—უეჭველია, ჩვენკენ არ წამოვიდოდენ და ჩვენი დროშის ქვეშ არ დადგებოდენ, მათთვის ჩვენი წითელი დროშა ნიშნავს არა კერძო საკუთრების მოსპობას, არამედ კერძო საკუთრების გადიდებას და გამრავლებას. და ამიტომ ასე ალტაცებით აფრიალებენ მას წარა-მარათ." (გვ. 19)

რა დასკვნა გამოდის აქედან?

-ის რომ, რუსეთის სოც. დ. მუშათა პარტიის ქართველია დემოკრატია მოუთმენლათ მოუტყუებია. ერთი უთქვამს, მეორე უკეთებია, ათასი და მილიონი ქართველი ხალხი ასსა და ორას ქართველ პროლეტარში გაუთქვეფია..

ტვინი და აზრი წაურთმევია და თავისი გაუზიარებია!..

მაგრამ, სადაც მოტყუება და მოღერება იქ სიმართლე არ არის, სადაც ერთ მუჭა ხალხს, თუნდაც ოქროსავით ძვირფასს და ბროლისავით სუფთას, სურვილი აქვს მთელ ერს ზურგზე წამოაჯდეს—იქ სიყვარული აღარ არის. იქ არის მხოლოდ სურვილი გაბატონებისა და განდიდებისა, სურვილი ერთისაგან მეორის დამცირებისა, რაც სოციალისტობა კი არა, ხულიგანობაზე უარესია!..

ხალხთა დიდმა არეულობამ კი, გვგონია, დაამხო ყოველ-გვარი უსამართლობა. ყოველ გვარი ბატონობა და ამიტომ საქართველოს მლოცველნი მოვალენი არიან აღნიშნონ ყოველივე უწესობა და უსამართლობა, დღევანდელ ბატონებისა გალმობიერებისათვის თუ არა, მომავალი თაობის დასანახვებლად მაინც. ჩვენც მოვალენი ვიყავით აღგვენიშნა რომ **დემოკრატია** სხვაა, **სოციალ-დემოკრატია** კიდევ სხვა, რომ ეს ცნებანი დომხალივით აურიეს თავში ქართველობას სოციალ დემოკრატმა მქადაგებლებმა და იმ დროს როცა გაიძახიან გაუმარჯოს დემოკრატიასო—მხოლოდ პროლეტარიატს გულისხმობენ, მათ დიქტატურაზე ოცნებობენ, დემოკრატია-კი ეს „ბურჟუაზიული ჯოგი-"ბ-ნ ნოეს სიტყვით, პირიქითა სძულთ და დღეს თუ არა ხვალე მაინც „კრიჭაში ჩაუდგებიან."

ეს მგონია ნათელ ვყავით ბ-ნ ნოეს დამოწმებით,

გავათავე. (ნოეს სიტყვა, გვერდი 64 სტრიქ. მეორე თავიდან) არა, არ გაგვითავებია, დავილალეთ მხოლოდ და წერილიც გაგვიგრძელდა.

შემდეგში ვეცდებით ამავე სოციალ-დემოკრატიულ სახარების წყალობით დავამტკიცოთ რომ სოციალ-დემოკრატიის თავის რწმენისა გამო სძულთ—წვრილი თუ მსხვილი ვაჭრები, სძულთ ინტელიგენცია, სძულთ დიდი—და პატარა, სძულთ სოციალ რევოლუციონერები, სოციალ-ფედერალისტები, ნაციონალ დემოკრატების გაგონებაზე ხომ სულ ირევიან, სძულთ ხალხი, დემოკრატია და უყვართ მხოლოდ მთელი ქვეყნის პროლეტარიატი და თუ თავს გვიკადრებენ, მარტო იმიტომ რომ იმედი აქვთ, რომ თავის ჭკუაზე წაგვიყვანენ... იყოს ნება მათი. თუ ამას გაცნობიერებული საქართველო მოინდომებს.

ისევ—ის.

სტამბა „ძმობა" პუშკინის ქუჩა, გოკიელოვის სახლი, ქუთაისში